Gnomon Wise

2024

ძვირფასო მკითხველო,

2024 წლის შეჯამება აუცილებლად უნდა დავიწყოთ იმ მშვიდობიან, სამოქალაქო პროტესტებზე გამოხმაურებით, რომელიც თითქმის მთელი წელია მიმდინარეობს და რომელმაც წლის მიწურულს განსაკუთრებით მასობრივი და განგრძობადი ხასიათი მიიღო. Gnomon Wise-ის გუნდის თითოეულ წევრს ღრმად გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატიული, ევრო-ატლანტიკური მომავალი დღეს დედაქალაქისა და რეგიონების ქუჩებში მშვიდობიანი პროტესტით წყდება.

შესაბამისად, ჩვენი საქმიანობის პარალელურად, სხვა პასუხისმგებლიანი მოქალაქეების მსგავსად, მათ შორის, ქუჩაშიც ვიცავთ ამ ქვეყნის დემოკრატიას და წინააღმდეგობას ვუწევთ ავტორიტარიზმის საბოლოო გაფორმებას. გვჯერა, რომ ჩვენი მშვიდობიანი პროტესტით, საქართველოს კვლავ დემოკრატიულ, დასავლურ გზას დავუბრუნებთ და აღვასრულებთ მრავალი თაობის ურყევ ნებას, რომ ვიყოთ დასავლური ოჯახის განუყოფელი ნაწილი.

ამასთან, ამ პროცესებმა ხელახლა გაგვააზრებინა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ხიდი აკადემიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის გამოყენებას შორის. ამ ვითარებაში კიდევ უფრო ნათლად ჩანს ყველა მიმართულებით არსებული გამოწვევების სიღრმე, სიმძაფრე და მათი მჭიდრო კავშირი. სწორედ ამ პრობლემების გარშემო კონცენტრირდებოდა Gnomon Wise მთელი წელი, ვიკვლევდით მათ ბუნებას და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებით, ანალიტიკური ნაშრომებით, მიმოხილვებით, მოსაზრებებით, საჯარო პრეზენტაციებით და დისკუსიებით ამ პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებს გთავაზობდით.

იმედს ვიტოვებთ, რომ როგორც კი საზოგადოებრივი და პოლიტიკური კონსენსუსი ხელახლა მიიღწევა, ჩვენ მიერ მომზადებული კვლევები და პოლიტიკის დოკუმენტები ღირებულ წვლილს შეიტანს სისტემური პრობლემების გადაჭრის გზაზე. დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთად, საქართველოს მოქალაქეების, აკადემიის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, საერთაშორისო პარტნიორების - ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევით, შესაძლებელია ის ცვლილებები, რომლებიც უკეთეს მომავალს მოგვიტანს.

ამ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე, ჩვენი მკითხველი განსაკუთრებულ მოტივაციას გვაძლევთ. Gnomon Wise მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, რომლმაც მცირე წვლილი მაინც შეიტანა ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობაში.

წინამდებარე დოკუმენტში მოკლედ წარმოგიდგენთ იმ ძირითად აქტივობებს, რომლებიც Gnomon Wise-ის გუნდმა 2024 წლის განმავლობაში განახორციელა.

ჩვენ ვრჩებით დემოკრატიული ღირებულებების, საქართველოს პრო-დასავლური არჩევანის ერთგულნი და როგორც ყოველთვის, ვაგრძელებთ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ზრუნვას.

კეთილი სურვილებით,

Gnomon Wise-ის გუნდი

პოლიტიკის დოკუმენტი

„საქართველოს სოფლის მეურნეობის რეფორმირების მიმართულება“

ავტორები: ეგნატე შამუგია, ზვიად ხორგუაშვილი - 31/01/024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის რეფორმირების ზოგადი პრინციპებისა და ამ პრინციპების დანერგვის მოსალოდნელი შედეგების აღწერას.

დოკუმენტი მოიცავს სოფლის მეურნეობის სექტორის ისტორიული მემკვიდრეობის ანალიზს. მასში განხილულია დარგის დღევანდელი მდგომარეობა და ქვეყნის პოზიციები, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. შესწავლილია სოფლის მეურნეობის სექტორში სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული რეფორმები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ევროკავშირის საერთო აგრარულ პოლიტიკაზე, რათა საქართველოს სოფლის მეურნეობა მაქსიმალურად შეეთავსებოდეს ევროკავშირში მოქმედ რეგულაციებსა და წესრიგს. გარდა ამისა, განხილულია ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, ჩილეს, ბრაზილიისა და შვედეთის გამოცდილება.

აკადემიური კვლევებისა და შესწავლილი ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით, პოლიტიკის დოკუმენტში დადგინდა პარამეტრები, რომელთა მიღწევა აუცილებელია, რათა საქართველო განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებს დაუახლოვდეს. ასეთი ოთხი ძირითადი პარამეტრია: ფერმის საშუალო ზომა, აგროდასაქმება, აგრარული სექტორის წილი ეკონომიკაში და სექტორის საბიუჯეტო დახმარება.

ნაშრომში იდენტიფიცირებულია რეფორმირების იმგვარი მიმართულება, რომელიც, ერთი მხრივ, გაზრდის სოფლის მეურნეობის ეფექტიანობას, მეორე მხრივ კი, დაუახლოვდება ევროპის კავშირის საშუალო მაჩვენებლებს და მოქმედ რეგულაციებს.

პოლიტიკის დოკუმენტი

„სტრატეგიული კომუნიკაცია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ - რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკისთვის“

ავტორები: დავით ქუტიძე, მალხაზ რეხვიაშვილი - 11/03/2024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: სტრატეგიული კომუნიკაციების პრაქტიკული პერსპექტივა, რომელიც მეტად აქტუალური გახდა რუსული საინფორმაციო ომის გაძლიერების კვალდა-კვალ (განსაკუთრებით კი - 2014 წელს, უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული „ჰიბრი-დული ომის“ შემდეგ), გულისხმობს, რომ სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ ისეთი გამოწვევებისთვის, როგორებიცაა ინფორმაციის იარაღად გამოყენება, პროპა-განდა და რეალობის დამახინჯება. ამ მიზნისთვის და ზოგადად, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, სწორი კომუნიკაცია და ამ კომუნიკაციის სტრატეგიული დაგეგმარება ეროვნული ინტერესების განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქ-მნა. ამ სამსახურების გაცხადებულ მიზანს სწორედ ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შემცირება და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგ-რაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდა, აგრეთვე, ქვეყანაში ეფექ-ტიანი, კოორდინირებული და პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციების სისტე-მის ჩამოყალიბება წარმოადგენდა.

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების შექმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ, განსაკუთრებით, რეგიონში მიმდინარე სრულმასშტაბიანი ომისა და რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეების ფონზე, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როგორ სრულდება მთავრობის სტრატკომების ზემოთ აღწერილი მიზნები. ამავდროულად, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების როლი კიდევ უფრო იზრდება იმ კონტექსტშიც, რომ ევროკომისიის მიერ საქართველოს-თვის მიცემული რეკომენდაციებიდან (რომლებიც ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ახლდა თან და რომელთა შესრულებაც ევროკავშირთან შემდ-გომი დაახლოებისთვის მნიშვნელოვანი პირობაა), ერთ-ერთი სწორედ დეზინ-ფორმაციისა და ანტიდასავლური რიტორიკის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან გადასადგმელ ნაბიჯებზე მიუთითებს.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია საქართველოში სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით სხელმწიფო პოლიტიკის ფორმირების ისტორია, მისი სამართლებრივი და სტრუქტურული ჩარჩოები და პრაქტიკაში მათი განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები. ამასთან, დოკუმენტის მიზანია, საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართუ-ლებით არსებული ჩავარდნების მოგვარების გზების იდენტიფიცირება. ამისათვის, მოცემულ დოკუმენტში, მიმოხილულია საუკეთესო, მათ შორის, საქართველოს პარტნიორი დასავლური სახელმწიფოების პრაქტიკები.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა - პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები“

ავტორები: გიორგი ბილანიშვილი (UGSPN მკვლევარი), ვაჟა სოფრომაძე (UGSPN მკვლევარი), დავით ზედელაშვილი (Gnomon Wise მკვლევარი) – 10/04/2024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: საქართველო ახალგაზრდა სახელმწიფოა, რომელსაც, საკუთარი ინსტიტუციების განვითარების გზაზე, ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით გამოწვეული პრობლემის გადალახვა უწევს. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მოშლილია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. საქართველო დგას სხვადასხვა საფრთხის წინაშე, რომლებიც, უმეტესად, გარეგანი და ნაწილობრივ, შინაგანი ფაქტორებითაც არის განპირობებული. ამასთან ერთად, თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელია საფრთხეების გამრავალფეროვნება და მათ მიერ ე.წ. ჰიბრიდული ფორმების შეძენა, რასთან გამკლავებაც საქართველოზე გაცილებით ძლიერ და გამართული სახელმწიფო ინსტიტუტების მქონე ქვეყნებსაც უჭირთ. ცალკე უნდა გამოიყოს რუსეთის ნეგატიური როლი, რადგან ის პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, მათ შორის, საქართველოზე, საკუთარი ექსკლუზიური გავლენის აღდგენას ცდილობს. ამ მიზნით, იგი იყენებს როგორც ჰიბრიდულ ტაქტიკას, რისი მაგალითიც არის 2014 წელს ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის წამოწყება, ისე პირდაპირ სამხედრო აგრესიას, რაც 2008 წელს - საქართველოს, ხოლო 2022 წელს კი უკრაინის წინააღმდეგ განახორციელა.

ამ ფონზე, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერასთან ერთად, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია ეფექტიანი ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც დაიგეგმებოდა და განხორციელდებოდა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობდა ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების მინიმიზაცია/პრევენციას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბება, დამოუკიდებლობის აღდგენიდან, მალევე სცადა, დღემდე ამ სფეროში სერიოზული პრობლემები არსებობს.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, მიმოიხილოს და შეაფასოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბება და განვითარება, ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების პროცესი და დღეს ამ სფეროში არსებული ვითარება. აგრეთვე, შეიმუშავოს რეკომენდაციები, ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურისა და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების გაუმჯობესების მიზნით.

„ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა“

ავტორი: ეგნატე შამუგია - 14/04/2024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: საქართველოში ხელისუფლების ყოველი ცვლილების შემდეგ, ჯანდაცვის სისტემის რეფორმა ხელახლა იწყებოდა, მაგრამ ჯანდაცვის პოლიტიკა დღემდე გამოწვევად რჩება. პრობლემას წარმოადგენს არსებული მოდელი - საყოველთაო ჯანდაცვა. ასეთ სისტემაში სამედიცინო დაწესებულებას სტიმული აქვს პაციენტს ზედმეტი (არასაჭირო) მომსახურების მიაწოდოს, ბიუჯეტიდან უფრო მეტი შემოსავლის მიღების მიზნით. ამიტომ ჯანდაცვის დანახარჯებს პერმანენტული დეფიციტურობა და დანახარჯების ზრდის აღმავალი დინამიკა ახასიათებს. ნაცვლად პრობლემის მიზეზებზე რეაგირებისა, მთავრობამ სისტემის გამოწვევას უფრო მეტი ჩარევით უპასუხა, რამაც რეგულირების ერთგვარი სპირალი შექმნა. ჯანდაცვის პოლიტიკა სამედიცინო მომსახურების ფასების დადგენისა და რიგი ფარმაცევტული საშუალებების ფასების ზედა ზღვრის დაწესებამდე მივიდა. ემპირიული კვლევები და მოწინავე ეკონომიკების გამოცდილება აჩვენებს, რომ მთავრობის არჩეული გზა - დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების მეთოდით ფასების ფიქსირება - ისეთ რისკებს შეიცავს, როგორებიც არის: სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუარესება, დიაგნოზებით მანიპულაცია და პაციენტების დისკრიმინაცია.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ჯანაცვის სისტემის რეფორმირების ზოგად პრინციპებს და ამ პრინციპების დანერგვის მექანიზმსა და მოსალოდნელი შედეგების აღწერას.

წარმოდგენილი პუბლიკაცია მოიცავს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ისტორიული გამოცდილების ანალიზს: სხვადასხვა დროს არსებული პოლიტიკის განხილვასა და მიღებულ შედეგებს. პოლიტიკის დოკუმენტი ფოკუსირებულია ჯანდაცვის საჯარო პოლიტიკის არსებული მდგომარეობის საფუძვლიან ანალიზსა და პრობლემის შესწავლაზე. ამასთან, დოკუმენტში განხილულია ჯანდაცვის სისტემების გლობალური გამოცდილება და არსებული გამოწვევები.

მრავალრიცხოვანი თეორიული და ემპირიული კვლევისა და მოწინავე ეკონომიკის გამოცდილებაზე დაყრდნობით, განსაზღვრულია ჯანდაცვის ოპტიმალური მოდელი და ჯანდაცვის სისტემიდან სოციალური დახმარების გამიჯვნის საკითხი, შემოთავაზებულია ოპტიმალურ მოდელთან მიახლოების ალტერნატივები და მათი შედარება.

„საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის რეფორმის მიმართულება“

ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი - 15/04/2024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფულადი სისტემის რეფორმირების ზოგადი პრინციპებისა და ამ პრინციპების დანერგვის მოსალოდნელი შედეგების აღწერას.

დოკუმენტი მოიცავს საქართველოს მონეტარული და სავალუტო პოლიტიკის ისტორიულ მიმოხილვას და ანალიზს. მასში განხილულია საქართველოს მონეტარული ხელისუფლების დღევანდელი პოლიტიკა და შედარებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებს. შესწავლილია ისეთი ქვეყნები, რომლებიც, მონეტარული პოლიტიკის რეფორმირების თვალსაზრისით, წარმატებული გამოცდილებით ხასიათდებიან. იმისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკა, მიდგომები და ეკონომიკური გარემო მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროპის კავშირის სტანდარტებს, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ევროზონის წევრ და არაწევრ ქვეყნებზე, რომლებიც ლეგალური გადახდის საშუალებად ევროს იყენებენ. გარდა ამისა, განხილულია პანამისა და ეკვადორის მაგალითები, მათი წარმატებული მონეტარული რეფორმირების გამო.

აკადემიური კვლევებითა და შესწავლილი ქვეყნების მაგალითებით დადგინდა, რომ ლარის ევროზე მიბმა საქართველოსთვის მრავალ პოზიტიურ შედეგს მოიტანს: დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე, მთავრობის ფისკალურ დისციპლინაზე, უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიან და სტაბილურ განვითარებას დაბალი ინფლაციისა და ნაკლები სავალუტო რისკების გარემოში. ლარის ევროზე ფიქსირება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკებთან უკეთ ინტეგრაციასაც.

ნაშრომში წარმოდგენილია სათანადო რეფორმირების აუცილებელი ნაბიჯები და მათი თანმიმდევრობა, რათა რეფორმა მაქსიმალური ეფექტიანობით განხორციელდეს.

პოლიტიკის დოკუმენტი

„საქართველოს პროკურატურის ინსტიტუტციური რეფორმა: დეცენტრალიზაცია სისტემური მიუკერძოებლობისა და ანგარიშვალდებულებისთვის“

ავტორები: დავით ზედელაშვილი, თამარ ქეცბაია - 26/04/2024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: საქართველოს პროკურატურა სისხლის სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელი და აღმასრულებელი ცენტრალური ინსტიტუტია, რომელიც ისტორიულად იყო პოლიტიზებული მართლმსაჯულების პრეტენზიის ერთ-ერთი მთავარი ადრესატი. საქართველოში პროკურატურის რეფორმების ძირითად ძალისხმევას მიმართავდნენ ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ფასადის შექმნისკენ. ფასადის მიღმა იყო სისტემა, რომელიც იდგა კონსოლიდირებული ძალაუფლების მქონე არაანგარიშვალდებულ თანამდებობის პირზე (გენერალური პროკურორი, იუსტიციის მინისტრი), რომელიც ხელმძღვანელობდა მკაცრად იერარქიულ, ცენტრალიზებულ სისტემას. ასეთი მოწყობა, ლოიალური გენერალური პროკურორის/იუსტიციის მინისტრის მეშვეობით, ქმნიდა პოლიტიკურად მიკერძოებულ და დაქვემდებარებულ ინსტიტუტს. შესაბამისად, ამ მიმართულებით გატარებულ რეფორმებს არც პოლიტიზებული მართლმსაჯულების აღქმა დაუსრულებია და არც რეალური დამოუკიდებლობა მოუტანია.

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, კონსტიტუციურ დემოკრატიებში პროკურატურების ინსტიტუციური მოწყობის შესახებ არსებული თეორიული და შედარებითი ცოდნით შექმნილ ჩარჩოში, კრიტიკულად გაიაზროს საქართველოს პროკურატურის არსებული ინსტიტუციური მდგომარეობა. კვლევის მიგნებებისა და დასკვნების საფუძველზე, პოლიტიკის დოკუმენტში შემოთავაზებულია საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური მოწყობის რეფორმის კონცეფცია.

„საქართველოს ზოგადი განათლების რეფორმირების მიმართულება“

ავტორები: ეგნატე შამუგია, ზვიად ხორგუაშვილი - 01/07/2024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში ზოგადი განათლების სექტორის გამოწვევებისა და პრობლემების აღწერასა და ანალიზს, ყურადღებას ამახვილებს ამ პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო ცვლილებებზე და ასახავს ზოგადი განათლების სისტემის რეფორმირების ძირითად მიმართულებებს.

დოკუმენტი მოიცავს, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ზოგადი განათლების სექტორის განვითარების მიმოხილვას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დღევანდელი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიკაციას.

დოკუმენტში ფართოდ განხილულია თეორიული და ემპირიული აკადემიური ლიტერატურა, რომელიც შეისწავლის სასკოლო განათლებას და ცალკეული ქვეყნების განათლების რეფორმების შედეგებს. აგრეთვე, ნაშრომში საფუძვლიანად შესწავლილია ზოგადი განათლების წარმატებული ქვეყნები და მათი პოლიტიკა სასკოლო განათლების უზრუნველყოფაში. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირზე, სადაც სასკოლო განათლების დონე მაღალია. მეორე მხრივ, ევროკავშირის პოლიტიკის შესწავლა უპრიანია, გამომდინარე საქართველოს მიზნიდან, რომ გახდეს ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანების წევრი.

არაერთი ქვეყნის სასკოლო განათლების სისტემების, სხვადასხვა დროს მათი რეფორმირებისა და აკადემიური ლიტერატურის სისტემური შესწავლის საფუძველზე, დოკუმენტში ჩამოყალიბებულია საქართველოს ზოგადი განათლების წინაშე არსებული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო რეფორმირების მიმართულებები. კერძოდ, ეს მიმართულებები მოიცავს: ვაუჩერული დაფინანსების მოდელის საშუალებით, სკოლის თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფას, სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციასა და სკოლების ავტონომიის გაფართოებას.

პოლიტიკის დოკუმენტში გამოკვეთილია რეფორმირების ისეთი მიმართულებები, რომელთა სრულყოფილი განხორციელების პირობებში, მოსალოდნელი შედეგია სასკოლო განათლების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება.

„რეფორმის მიმართულება კომუნიკაციების კომისიის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისთვის“

ავტორები: დავით ქუტიძე, თინათინ ნიკოლეიშვილი - 03/09/2024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: საქართველოს კომუნიკაციების კომისიის საქმიანობა, მისი მზარდი ძალაუფლება და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული გამოწვევები ხშირად გამხდარა განხილვის საგანი. კომისია, რომელიც ფორმალურად არ ექვემდებარება ხელისუფლების არცერთ შტოს, არაერთგზის ყოფილა გამოყენებული მთავრობისადმი კრიტიკულ მედიასაშუალებებზე ზეწოლის ინსტრუმენტად. წლების განმავლობაში, კომუნიკაციების კომისიის ძალაუფლება სულ უფრო იზრდება, მეორე მხრივ კი, სულ უფრო სუსტდება მისი რეალური დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიები.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს კომუნიკაციების კომისიის დამოუკიდებლობასთან, მის დაკომპლექტებასა და შიდა მოწყობასთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს და წარადგენს რეკომენდაციებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ამ ორგანოს მიუკერძოებლობას, ასევე შეზღუდონ მისი ძალაუფლება, რათა სახელმწიფოს მაქსიმალურად ნაკლები სივრცე დარჩეს კომისიის მედიაზე ზეწოლის ინსტრუმენტად გამოყენებისთვის. რეკომენდაციებზე მუშაობისას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპული პრაქტიკის შესწავლასა და მის ქართულ რეალობაზე მისადაგებას.

საქართველოს სოციალური დაცვის პოლიტიკის რეფორმირების მიმართულება

ავტორები: ზვიად ხორგუაშვილი, ეგნატე შამუგია - 23/09/2024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში სოციალური დაცვის სისტემის პრობლემებისა და გამოწვევების აღწერასა და ანალიზს. ის ყურადღებას ამახვილებს ამ პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო ცვლილებებზე და ასახავს სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირების ძირითად მიმართულებებს.

დოკუმენტში ფართოდაა განხილული თეორიული და ემპირიული ლიტერატურა, რომელიც შეისწავლის სოციალური დაცვის პოლიტიკასა და ცალკეული ქვეყნების მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგებს. აგრეთვე, ნაშრომში საფუძვლიანად განვიხილავთ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ხასიათდება შედარებით მდგრადი, სანდო და მოქნილი სოციალური სისტემებით.

წარმოდგენილი დოკუმენტი ასევე მოიცავს საქართველოს სოციალური დაცვის მდგომარეობის ისტორიულ მიმოხილვას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დღევანდელი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებასა და ანალიზს.

სხვადასხვა ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ცვლილებებისა და აკადემიური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, დოკუმენტში ჩამოყალიბებულია საქართველოს სოციალური პოლიტიკის წინაშე არსებული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო რეფორმირების მიმართულებები. კერძოდ, ეს მიმართულებები მოიცავს ორ ალტერნატივას: უნივერსალური საბაზისო შემოსავალი და მიზნობრივი სოციალური დახმარების გამარტივება/გაფართოება.

პოლიტიკის დოკუმენტში გამოკვეთილია რეფორმირების ისეთი მიმართულებები, რომელთა სრულყოფილი განხორციელების პირობებში, მოსალოდნელია სიღარიბის მაჩვენებლების მკვეთრი შემცირება და უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა.

საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა

ავტორები: დავით ზედელაშვილი, თამარ ქეცბაია - 24/10/2024 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური იურისდიქციის განსაზღვრისა და მოწყობის შესახებ მომზადებული წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, წარმოადგინოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმის კონცეფცია და შესაბამისი წინადადებები.

დოკუმენტის პირველ ნაწილში, შედარებითი განხილვის საფუძველზე, გამოკვლეულია საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის სფეროში დაკვირვებადი გლობალური ტრენდები, განსაკუთრებით კი - საქართველოს მსგავს პოლიტიკურ რეჟიმებში, რომლებიც არ მიეკუთვნება კონსოლიდირებულ კონსტიტუციურ დემოკრატიებს. ავტორები საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციონალიზაციის პრობლემებს აკავშირებენ შესაბამის გლობალურ პრობლემებთან და ტრენდებთან.

ამ ნაწილში, ასევე გაანალიზებულია საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის დამკვიდრებისა და მუშაობის თითქმის ოცდაათწლიანი პერიოდი. ანალიზით გამოიკვეთა, რომ საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის უფლებამოსილება სრულყოფილად არასდროს იყო ინსტიტუციონალიზებული და ეს გახლდათ პოლიტიკური ხელისუფლებების სტრატეგიული და მიზანმიმართული არჩევანი.

იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის სპეციალიზებულ, ცენტრალიზებული მართვის მოდელის ინსტიტუტში კონცენტრაციაც იყო სტრატეგიული არჩევანი, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების აქტორებს უხსნიდა სასამართლოს სისტემური მიუკერძოებლობის ხელყოფისა და მასზე ხანგრძლივი გავლენის დამყარების გზებს.

აღნიშნულის განხილვის საფუძველზე, დოკუმენტის მეორე ნაწილში, ავტორები წარმოგვიდგენენ საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური რეფორმის მთავარ ნორმატიულ მიზნებსა და მათ საფუძველზე შემუშავებულ სპეციფიკურ წინადადებებს, საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით.

ანალიტიკა

„სამშენებლო სექტორის როლი პოლიტიკურ პროცესებში"

ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი - 27/01/2024 (იხ. ბმული)

„სტრასბურგის" სასამართლოსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები - რა უნდა ვიცოდეთ, რათა სტატისტიკით მანიპულირების მსხვერპლი არ გავხდეთ?"

ავტორი: თამარ ქეცბაია - 02/02/2024 (იხ. ბმული)

„საქართველოს ეკონომიკაზე რუსეთ-უკრაინის ომის ეფექტი მიილია"

ავტორი: ეგნატე შამუგია - 14/02/2024 (იხ. ბმული)

„რომელი საგარეო ფაქტორები ახდენს გავლენას ლარის გაცვლით კურსზე?"

ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი - 27/02/2024 (იხ. ბმული)

„დეზინფორმაციის წინმსწრებად მხილება (Prebunking) - ფსიქოლოგიური „ვაქცინა" კოლექტიური იმუნიტეტისთვის"

ავტორი: დავით ქუტიძე - 29/02/2024 (იხ. ბმული)

„არალიბერალური რეჟიმი ლიბერალური „პროპაგანდის" წინააღმდეგ: ინსტრუმენტალისტური ახსნის მიღმა"

ავტორი:დავით ზედელაშვილი - 13/03/2024 (იხ. ბმული)

„მოსამართლეთა ვეტინგი და მისი პროპაგანდისტული კარიკატურა"

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 15/03/2024 (იხ. ბმული)

„საქართველოს ექსპორტის დეკომპოზიცია"

ავტორი: ეგნატე შამუგია - 21/03/2024 (იხ. ბმული)

ანალიტიკა

„რუსეთის ჩარევები უცხო ქვეყნების არჩევნებში - საფრთხეები და კონტრზომები"

ავტორი: დავით ქუტიძე - 02/04/2024 (იხ. ბმული)

„საქართველო სამართლის უზენაესობის ინდექსში"

ავტორი: თამარ ქეცბაია - 12/04/2024 (იხ. ბმული)

„ვენეციის კომისიის არაერთი არგუმენტი რუსულ კანონზე"

ავტორი: თამარ ქეცბაია - 24/05/2024 (იხ. ბმული)

„კავკასიის მაკროეკონომიკური ტენდენცია"

ავტორიე: გნატე შამუგია - 12/06/2024 (იხ. ბმული)

„ადმინისტრაციული პატიმრობის პრაქტიკა საქართველოში და მისი საბჭოთა საფუძვლები"

ავტორი: თამარ ქეცბაია - 25/06/2024 (იხ. ბმული)

„ავტორიტარული რეჟიმები საერთაშორისო სანქციების პირისპირ: ადაპტაციის სტრატეგიები და სანქციების შედეგიანობის პირობები"

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 28/06/2024 (იხ. ბმული)

„მაღალი ეკონომიკური ზრდა - ახსნა"

ავტორი: ეგნატე შამუგია - 08/07/2024 (იხ. ბმული)

„უცხოელი აგენტების რუსული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში"

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 26/07/2024 (იხ. ბმული)

„მწვავე პოლარიზაცია - არადემოკრატიული ხელისუფლებების საყრდენი"

ავტორი: დავით ქუტიძე - 29/07/2024 (იხ. ბმული)

ანალიტიკა

„სამართლიანი წესრიგის ეკონომიკური მნიშვნელობა"

ავტორი: ეგნატე შამუგია - 10/10/2024 (იხ. ბმული)

„უმუშევრობის დაზღვევა"

ავტორი: ეგნატე შამუგია - 16/10/2024 (იხ. ბმული)

„რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული დოკუმენტები და მსგავსება „ქართული ოცნების" რიტორიკასთან"

ავტორი: დავით ქუტიძე - 18/10/2024 (იხ. ბმული)

„საქართველოს დემოკრატიზაცია ავტორიტარიზმის ჩიხში"

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 14/11/2024 (იხ. ბმული)

„აზარტული თამაშობების რეკლამირების აკრძალვის რეალური მოტივები და შედეგები"

ავტორები: ეგნატე შამუგია, დავით ქუტიძე - 17/12/2024 (იხ. ბმული)

„კავკასიის ეკონომიკის პროინფლაციური ზრდა"

ავტორი: ეგნატე შამუგია - 19/12/2024 (იხ. ბმული)

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ახალი არაკონსტიტუციური და რეპრესიული ინსტრუმენტები"

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 21/12/2024 (იხ. ბმული)

„2024 წლის 6-7 დეკემბრის დარბევა - აქციის მონაწილეთა დაკავების სპეცოპერაცია"

ავტორი: თამარ ქეცბაია - 25/12/2024 (იხ. ბმული)

მიმოხილვა

„კავკასიის ეკონომიკის ყოველთვიური მიმოხილვა“
ავტორი: ეგნატე შამუგია

იხილეთ იანვარი - დეკემბრის პერიოდის მიმოხილვების ბმულები თვეების მიხედვით:

იანვარი; თებერვალი; მარტი; აპრილი; მაისი; ივნისი;

ივლისი; აგვისტო; სექტემბერი; ოქტომბერი; ნოემბერი; დეკემბერი.

„საქართველოს მედიაგარემო საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებში 2023 წელს“
ავტორი: დავით ქუტიძე
19/01/2024 (იხ. ბმული)

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გასული 10 წლის განმავლობაში - მიმოხილვა“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
10/06/2024 (იხ. ბმული)

„ხელფასების სტატისტიკასთან მიმართებით არსებული გაუგებრობები“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
18/06/2024 (იხ. ბმული)

„2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - მიმოხილვა და ანალიზი“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
26/11/2024 (იხ. ბმული)

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაუარესებული მაჩვენებლების მიმოხილვა და ანალიზი“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
13/12/2024 (იხ. ბმული)

მოსაზრება

„ტირანი ხატზე: სტალინის ფუნქციები რუსეთის იმპერიალისტურ იდეოლოგიაში და მისი გამოყენება საქართველოში“

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 24/01/2024 (იხ. ბმული)

„რუსული კანონი: რეჟიმის დინამიკის გარდაუვალი შედეგი“

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 09/04/2024 (იხ. ბმული)

„საშემოსავლო გადასახადი და სასურველი საგადასახადო პოლიტიკა“

ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი - 27/05/2024 (იხ. ბმული)

„ქართული ოცნების" „სუვერენული დემოკრატია" - პროპაგანდა საზოგადოების მოსატყუებლად“

ავტორი: დავით ქუტიძე - 28/05/2024 (იხ. ბმული)

„არჩევნები, პროტესტი და მასობრივი რეპრესია: მეგზური საარჩევნო ავტორიტარიზმში“

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 31/05/2024 (იხ. ბმული)

„საქართველო და ეკონომიკური დეცენტრალიზაცია“

ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი - 11/09/2024 (იხ. ბმული)

„არჩევნები და დასაქმება საჯარო სექტორში“

ავტორი: ეგნატე შამუგია - 16/09/2024 (იხ. ბმული)

მოსაზრება

„ანტიკორუფციული ბიუროს პრაქტიკის შესახებ - რეპრესია, როგორც კანონმდებლის მუდმივად ნაგულისხმევი მიზანი"

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 25/09/2024 (იხ. ბმული)

„რთველის პოლიტეკონომიკა"

ავტორი: ეგნატე შამუგია - 27/09/2024 (იხ. ბმული)

„ცენტრალური ბანკი, მთავრობა და ოქროს რეზერვი"

ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი - 15/10/2024 (იხ. ბმული)

„საქართველოს ეკონომიკა - ლიბერალური თუ განაწილებითი?"

ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი - 17/10/2024 (იხ. ბმული)

„ქართული ოცნების" წინასაარჩევნო კამპანია და მართლმსაჯულების ადგილი მის საარჩევნო პროგრამაში"

ავტორი: თამარ ქეცბაია - 21/10/2024 (იხ. ბმული)

„ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის მოსახლეობის დაკვეთად გამოცხადების მარცხი"

ავტორი: თამარ ქეცბაია - 22/11/2024 (იხ. ბმული)

„საჯარო სამსახურის "რეფორმა" მასობრივი რეპრესიების კვალდაკვალ - „დეგენერაციული ავტოკრატიის" სიმპტომი"

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 23/12/2024 (იხ. ბმული)

ყოველთვიური ჟურნალი *GEOpolitics* - იხ. ბმული

GEOpolitics არის Gnomon Wise-ის ყოველთვიური ინგლისურენოვანი ჟურნალი. ჟურნალის მისიაა, ერთი მხრივ, გააძლიეროს საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნება, რომ საქართველო იყოს ევროატლანტიკური სივრცის განუყოფელი ნაწილი, ხოლო, მეორე მხრივ, აჩვენოს ჩვენს დასავლელ პარტნიორებს საქართველოს მნიშვნელობა, შესაძლებლობები და გამოცდილება დასავლური ცივილიზაციის განვითარების გზაზე.

GEOpolitics, რომელიც 2023 წლის დეკემბერში დაფუძნდა, არის ერთ-ერთი პირველი ქართული ჟურნალი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და ის აერთიანებს კონტრიბუტორებს, რომელთაც აქვთ ძალიან დიდი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მიმართულებით.

ჟურნალი არის ერთგვარი ქართული ხმა ცივილიზებულ სამყაროში.



დე-კონსპირატორი - იხ. ბმული

დე-კონსპირატორი არის ახალი ჰორიზონტის ევროპის პროგრამის (HEurope) მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტი, რომელიც აერთიანებს 13 ევროპულ ინსტიტუტს. განხორციელების პერიოდი (Gnomon Wise-თან თანამშრომლობით): 2024 წლის 1 ივნისიდან 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

პროექტი მიზნად ისახავს შეისწავლოს და გაანალიზოს ინფორმაციის ჩახშობის დახვეწილი ტაქტიკა, რომელსაც იყენებენ უცხოელი აქტორები, განსაკუთრებით რუსეთი და ჩინეთი, ევროკავშირში (EU) და მის პარტნიორ ქვეყნებში (PCs). კონკრეტულად, DE-CONSPIRATOR გააანალიზებს მათ ტაქტიკას, ვინც უცხოური საინფორმაციო ჩარევისა და მანიპულაციის (FIMI) ინიციატორია, დაადგენს, თუ როგორ ვრცელდება FIMI ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებში (PC) ადგილობრივი ქსელების მეშვეობით, შეიმუშავებს FIMI ინციდენტების ყოვლისმომცველ მრავალენოვან მონაცემთა ბაზას, გამოიკვლევს ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ FIMI-ის კამპანიების წარმატებას.

2024 წლის ივნისიდან საქართველოს უნივერსიტეტი (UG) და Gnomon Wise DE-CONSPIRATOR-ის კონსორციუმის პარტნიორია. პროექტს ახორციელებენ Gnomon Wise-ის უფროსი მკვლევარი **სერგი კაპანაძე,** მკვლევარები **დავით ქუტიძე** და **რატი ახალაია**. გასული წლის განმავლობაში მათ, სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, შეისწავლეს რუსული დეზინფორმაციის ტაქტიკები, რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტები ჰიბრიდიული ომის კონტექსტში და შეიმუშავეს სპეციფიკური ინდიკატორები მსგავსი მავნე საინფორმაციო ჩარევების დროულად გამოსავლენად.

პრეზენტაცია

პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია და დისკუსია - „საქართველოს სოფლის მეურნეობის რეფორმირების მიმართულება" - იხ. ბმული

2024 წლის 31 იანვარს, Gnomon Wise-ის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტის: „საქართველოს სოფლის მეურნეობის რეფორმირების მიმართულება" პრეზენტაცია და საჯარო დისკუსია გაიმართა.

პოლიტიკის დოკუმენტი წარადგინეს ნაშრომის ავტორებმა **ზვიად ხორგუაშვილმა** (Gnomon Wise-ის მკვლევარი) და **ეგნატე შამუგიამ** (Gnomon Wise-ის მკვლევარი). საჯარო დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა.

პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია და დისკუსია - „სტრატეგიული კომუნიკაცია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ" - იხ. ბმული

2024 წლის 11 მარტს, Gnomon Wise-მა პოლიტიკის დოკუმენტის „სტრატეგიული კომუნიკაცია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ" პრეზენტაცია და პანელური დისკუსია გამართა.

პოლიტიკის დოკუმენტი წარადგინეს **დავით ქუტიძემ** (Gnomon Wise-ის მკვლევარი) და **მალხაზ რეხვიაშვილმა** (Gnomon Wise-ის აფილირებული მკვლევარი).

პანელური დისკუსიის ფარგლებში მოხსენება გააკეთეს **მარიამ წიწიკაშვილმა** (საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) მკვლევარი) და **თორნიკე გორდაძემ** (პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის (Sciences Po) პროფესორი; Gnomon Wise-ის მკვლევარი).

პრეზენტაცია

კვლევის პრეზენტაცია: „ავტორიტარიზმის რუკა საქართველოში"- იხ. ბმული

2024 წლის 29 მარტს, Gnomon Wise-ის და საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) ერთობლივი კვლევის - „ავტორიტარიზმის რუკა საქართველოში" - პრეზენტაცია გაიმართა.

კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში ავტოკრატიზაციის მიმდინარე პროცესის შესწავლას და ეფუძნება სპეციალურად შემუშავებულ მეთოდოლოგიურ პერსპექტივას (იხ. ბმული).

დოკუმენტი წარადგინეს **დავით ზედელაშვილმა** (Gnomon Wise-ის მკვლევარი), **ვასილ ჟიჟიაშვილმა** (GDI-ის მკვლევარი) და **გიორგი მშვენიერაძემ** (დემოკრატიის მცველების გამგეობის თავმჯდომარე).

პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია: „საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმა" - იხ. ბმული

2024 წლის 26 აპრილს, Gnomon Wise-მა პოლიტიკის დოკუმენტის „საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმა" პრეზენტაცია გამართა.

პოლიტიკის დოკუმენტი წარადგინეს **დავით ზედელაშვილმა** (Gnomon Wise-ის მკვლევარი) და **თამარ ქეცბაიამ** (Gnomon Wise-ის მკვლევარი).

საერთაშორისო სემინარი: "Liberalism and Populism"

2024 წლის იანვარში, **დავით ქუტიძე** მონაწილეობდა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდისა და საერთაშორისო ლიდერობის აკადემიის ერთობლივ სემინარში: "Liberalism and Populism", გერმანიაში, ქალაქ გუმერსბახში.

დავით ქუტიძემ წარადგინა პრეზენტაციები პროპაგანდის და პროპაგანდისტების მუშაობის შესახებ საქართველოში და პროპაგანდის კვლევის მიმართულებით ინსტიტუტის მიღწევები;

დახურული სემინარი: Georgia's Turnaway from Democracy and Europe: Challenges, Consequences and Future

2024 წლის 10 ივნისს, Gnomon Wise-ის მკვლევარი, **დავით ზედელაშვილი**, მოხსენებით წარსდგა ევროპის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს (European Council on Foreign Relations - ECFR) დახურულ სემინარზე თემაზე: **Georgia's Turnaway from Democracy and Europe: Challenges, Consequences and Future.** სემინარი ჩატარდა ონლაინ.

სამეცნიერო კონფერენცია: „საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო და მომავალი"

2024 წლის 1-3 ნოემბერს გაიმართა მესამე საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო და მომავალი". პოლიტოლოგიის სექციაზე, მოხსენებით წარდგნენ Gnomon Wise-ის მკვლევრები - **ეგნატე შამუგია** და **დავით ზედელაშვილი.**

ეგნატე შამუგიას მოხსენება - **„სამი ათწლეული: ინსტიტუტების განვითარება"**- შეეხო პოსტ-კომუნისტურ გარდაქმნის თავისებურებს და ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ყურადღება გამახვილდა ინსტიტუციური განვითარების ეკონომიკურ ასპექტებსა და თავად ინსტიტუტების ხარისხის დეტერმინანტებზე.

დავით ზედელაშვილმა წარადგინა მოხსენება თემაზე: „**მოდერნული კონსტიტუციური ერი-სახელმწიფოს საჭიროება საქართველოსთვის და მისი სოციალური საფუძვლები ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ ტექსტებში (1918-1921)"**. ის ასევე იყო ამავე სექციის მოდერატორი.

Research Institute Gnomon Wise და Barcelona Center for International Affairs (CIDOB) 2024 წლის 2-4 ოქტომბერს თბილისში "Study Trip in Georgia 2024" მასპინძლები იყვნენ (იხ. ბმული).

ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრების სერია ერთი მხრივ, ევროპული კვლევითი ინსტიტუტების, ფონდების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საქართველოში ოპერირებად ფონდებს, პრეზიდენტს, დიპლომატიურ კორპუსს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, მკვლევარებსა და ჟურნალისტებს შორის.

ღონისძიების მიზანი იყო, დასავლელ კოლეგებს კიდევ ერთხელ გამოეხატათ სოლიდარობა და მხარდაჭერა საქართველოს დემოკრატიული, ევროპული მომავლისადმი, ევროპული ფასეულობებისადმი, მისცემოდათ შესაძლებლობა წინასაარჩევნოდ მეტი გაეგოთ ამ გზაზე ქვეყნაში არსებული გამოწვევების შესახებ და მაქსიმალურად გაეცნოთ საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი.

Gnomon Wise ამაყობს, რომ ამ ძალზედ მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძელი იყო და დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მეგობრებს და პარტნიორებს - CIDOB-ს, Bertelsmann Stiftung-ს და Impact CEE-ს მხარდაჭერისთვის.

აკადემიური სტატია

სტატია აკადემიურ ჟურნალში Central European Journal of Communication (CEJC)

Gnomon Wise-ის მკვლევარის, **დავით ქუტიძის** სტატია „საქართველოს ხელის-უფლების საჯარო რიტორიკა - რუსული პროპაგანდის მინი მოდელი“ გამოქვეყნდა საერთაშორისო რეცენზირებად აკადემიურ ჟურნალში Central European Journal of Communication (CEJC).

ნაშრომში განხილულია კრემლის ტაქტიკა - გამოიყენოს ინფორმაციის თავისუფ-ლების იდეა, როგორც დეზინფორმაციის გავრცელების მთავარი ინსტრუმენტი (იხ. ბმული).

სტატია სამეცნიერო ჟურნალში

Gnomon Wise-ის მკლევრების, **ეგნატე შამუგიასა** და **თამარ ქეცბაიას,** სამეცნიერო სტატია - **“Property crime in the South Caucasus - Panel data analysis”** გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში - **Caucasus Journal of Social Sciences.**

ნაშრომი შეისწავლის სამხრეთ კავკასიაში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დეტერმინანტებს (იხ. ბმული).

Gnomon Wise მედიაში

2024 წელს Gnomon Wise და მისი მკვლევარები აქტიურად თანამშრომლობდნენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტრადიციულ და ონლაინ მედია პლატ-ფორმებთან. წლის განმავლობაში Gnomon Wise-ის გუნდის მონაწილეობით, არაერთ მედია პლატფორმაზე გამოქვეყნდა ინტერვიუები, კომენტარები და ანალიზი.

მედიები, რომელთანაც Gnomon Wise 2024 წელს აქტიურად თანამშრომლობდა:

ადგილობრივი მედია

TV მთავარი არხი
TV Palitra News
TV ფორმულა
TV Pirveli
BMG TV
Forbes Georgia
აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
Georgian Times TV
Girchi TV
Palitra რადიო
Palitra News
ონლაინ პორტალი „ბათუმელები“
Radio Free Georgia
რადიო Comersant
BMG Web
Netgazeti
Civil.ge
On.ge
Publica
AgroNews.ge
BPN

საერთაშორისო მედია

BBC NEWS
Financial Times
The Economist
Sky News
France 24
Der Spiegel
Le Monde
El Pais
Radio France
La Repubblica
Tribune de Genève
Le Temps
El Mundo
The Moscow Times
Kyiv Independent
Caucasus Watch
Sova News
Euro News
Athens Voice
LN24
The Daily Economy
TV N1 (Novi Sad 1)

მ. კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველო

www.gnomonwise.org